დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	ზუგდიდის პრინც მიურატის სახელობის ქართულ-ფრანგული კოლეჯი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	220348657

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:[1]	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

[1] შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას სურს დაიმატოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მან განაცხადი უნდა წარმოადგინოს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული განაცხადის ფორმით.

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ[2]	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ნომერი	2016 წლის 3 ნოემბერი, გადაწყვეტილება N 124
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2016 წლის 3 ნოემბერი
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2022 წლის 3 ნოემბერი

ინფორმაცია მოსწავლეთა შესახებ	
მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა	180
მოსწავლეთა არსებული რაოდენობა	159
მოსწავლეთა ფაქტობრივი რაოდენობიდან სსსმ მოსწავლეთა რაოდენობა	1

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ზუგდიდი
იურიდიული მისამართი	ქ. ზუგდიდი, ლომოურის ქუჩა N32
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ზუგდიდი, ლომოურის ქუჩა N32
საფოსტო ინდექსი	2100
დაწესებულების ვებ-გვერდი	ecolepm.edu.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	ecolepm@yahoo.fr, ecolepm@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	0415 220222
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ეკა ფარცვანია
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	577629192
ელ-ფოსტა	Ekaparcvania12@gmail.com

[2] შენიშვნა: აღნიშნულ ცხრილში მოცემული სამი გრაფა ივსება მხოლოდ განმეორებითი ავტორიზაციის შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

II. ელექტრონული ფორმით (CD-R-ით) დასართავი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:
სულ 1530 გვერდი

▪	სასკოლო სასწავლო გეგმა
▪	სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ამსახველი დოკუმენტაცია კათედრების მიხედვით, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა, კომპლექსური დავალებების ნიმუშები საგნების მიხედვით, თემატური გეგმები/მატრიცები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
▪	სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, დაწესებულების წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტაცია
▪	სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასების სისტემისა და დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
▪	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ფართის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
▪	დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები/ფუნქციონირების მარეგულირებელი დოკუმენტ(ებ)ი, საშტატო განრიგი
▪	დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები
▪	დაწესებულების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (Curriculum Vitae, კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილების ან/და სპეციალური მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია)
▪	დაწესებულების ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები და დამადასტურებელი დოკუმენტაცია
▪	დაწესებულების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან დადებული მოქმედი შრომითი ხელშეკრულებები, თანამშრომელთა თანხმობა პირადი ინფორმაციის გაცემის შესახებ
▪	სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის (SWOT ანალიზი ან/და სხვა) ამსახველი დოკუმენტაცია
▪	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების შემუშავების პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულების ან/და პირების შესახებ ინფორმაცია და არსებობის შემთხვევაში შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

III.

დაწესებულების მისია	უსაფრთხო და შესაძლებლობებით მრავალფეროვან გარემოში, უზრუნველვყოთ მოსწავლეთა პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა და განვითარება; ხელი შევუწყოთ პატრიოტული ცნობიერების, დემოკრატიული ღირებულებების, მოქალქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარი, ინტელექტუალურად განვითარებული მოქალაქეების ჩამოყალიბებას და მოვამზადოთ ისინი აქტიური სამოქალაქო ცხოვრებისათვის.

IV. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
აღწერა	სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოადგენს ერთიან დოკუმენტს, რომელიც მოიცავს გასული სასწავლო წლის შედეგების ზოგად ანალიზს, სკოლის მისიას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს საფეხურების მიხედვით, სასწავლო წლის კალენდარს და დღის რეჟიმს, სასკოლო საათობრივ ბადეს, სასკოლო სახელმძღვანელოების და სხვა სასწავლო რესურსების ნუსხას კლასების და საგნების მიხედვით, საგნობრივი კათედრების ფუნქციებს, ესგ-თ გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალს, მოსწავლის აკადემიური შეფასების წესებს, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, სადამრიგებლო პროგრამას, IX და XI კლასებში სკოლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგსა და ასევე პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებული სხვა აქტივობების განრიგს. ესგ-ში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში ცვლილებები შედის სასკოლო სასწავლო გეგმაში. კოლეჯი ახორციელებს ძირითადი საგნების: ფრანგული ენის გაღრმავებულ სწავლებას III-XII კლასებში. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის ფრანგული ენის გაღრმავებული

	სწავლების პროგრამა. სპორტის სახეობად კოლეჯს არჩეული აქვს ფეხბურთი და მძლეოსნობა.
დადასტურება	სასკოლო სასწავლო გეგმა, პედსაბჭოს სხდომის ოქმი N1 08/09/ 2021

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
აღწერა	სკოლა ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო და არჩევითი საგნის სწავლებას კლასებისა და საფეხურების მიხედვით. საგნობრივი ჯგუფები გაერთიანებულნი არიან კათედრებად. კოლეჯში ამჟამად ფუნქციონირებს 6 კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, უცხოური ენების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, სპორტისა და ესთეტიკის. კათედრების დანიშნულებაა სახელმძღვანელოების შერჩევა, საგნობრივი ჯგუფის, საგნის/საგნების სწავლების კოორდინაცია, გამოცდილების გაზიარება, სხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებთან კოორდინირებული მუშაობა, პროფესიული განვითარებისათვის სათანადო გზების დასახვა, დამხმარე სასწავლო მასალებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება, ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა, ახალი მეთოდებისა და მიდგომების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება, სასწავლო პროექტების განხორციელება. მიზნების განსახორციელებლად სკოლა ხელს უწყობს მოზარდებში გამჭოლი უნარებისსა და ღირებულებების განვითარებას.
დადასტურება	სასკოლო სასწავლო გეგმა, პედსაბჭოს სხდომის ოქმი N1 08/09/ 2021

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
აღწერა	სკოლას ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე, (აუტისტური სპექტრის). მშობელი წინააღმდეგია მოსწავლისთვის ინდ გეგმის შექმნის, თუმცა მასწავლებლები მაქსიმალურად ცდილობენ მის ჩართვას საგაკვეთილო და სასკოლო ცხოვრებაში. სწავლის სირთულეებით ის არ გამოირჩევა. სკოლაში ავიყვანეთ ფსიქოლოგი, რომელიც გვეხმარება სირთულეების დროს. სკოლა ზრუნავს ყველა მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. შემუშავებულია ინკლუზიური განათლების პროგრამა. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია სკოლაში ინკლუზიური განათლების განხორციელების პროგრამა. სკოლა საჭიროებიდან გამომდინარე, იყენებს ჰიბრიდულ მოდელსაც.
დადასტურება	სასკოლო სასწავლო გეგმა, ისგ-ს სამოქმედო გეგმა, ხელშეკრულება ფსიქოლოგთან,

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

	ისგ-ს ჯგუფის შქმნის ბრძანება, ისგ ჯგუფის სხდომების ოქმი.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
აღწერა	სასკოლო შეფასების სისტემა წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რაც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმასთან. საგნობრივ კათედრებს შემუშავებული აქვთ შეფასების სქემები, რაც მოიცავს დისკუსიის, პროექტის, პრეზენტაციის და სხვადასხვა აქტივობების შეფასებას. I-IV კლასებში და მე-5 კლასის პირველ სემესტრში მოსწავლეები ფასდებიან მხოლოდ განმავითარებელი კომენტარებით. განმსაზღვრელი შეფასება კოლეჯში არის 10 ქულიანი და 5 დონიანი. შემუშავებულია, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების სქემები, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განმსაზღვრელი შეფასებისას გათვალისწინებულია ცოდნის 3 კატეგორია: დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინოდ და ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისა და მშობლისთვის. შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა შემუშავებულია კათედრების სხდომაზე, წლის დასაწყისში და ცნობილია ყველა მოსწავლისათვის. შემუშავებულია VI-XII კლასების მოსწავლეთა რეიტინგული შეფასების სისტემა, რომელსაც მონიტორინგის ჯგუფი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით განიხილავს თვეში ერთხელ და აწარმოებს კვლევას, უკეთესი შედეგების მიღების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს. კოლეჯს დადგენილი აქვს კლასიდან კლასში გადასასვლელი 5 ან მეტი ქულა. საფეხურის დაძლევის აუცილებელი მინიმალური ბარიერია 5.0 ქულა. შექმნილია შეფასების სტრატეგია გაცდენების შემთხვევაში და გეგმით დადგენილ მინიმუმზე დაბალი ქულის მიღების დროს. სკოლა ცდილობს გამოიყენოს განმავითარებელი, სოლო ტაქსონომია ზოგიერთ საგანში.
დადასტურება	სასკოლო სასწავლო გეგმა, შეფასების რუბრიკები საგნების მიხედვით, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ნიმუშები, განმავითარებელი შეფასების ნიმუშები

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
აღწერა	მშობლის ინფორმირების წესი გაწერილია კოლეჯის შინაგანაწესში და სადამრიგებლო პროგრამაში. კლასის დამრიგებელი ვალდებულია მშობელს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი შვილის გაცდენების, დაბალი აკადემიური მოსწრების შესახებ წერილობით ან სატელეფონო საუბრით. თვეში ერთხელ

	დამრიგებელი მშობელს ინდივიდუალურად აცნობებს საკუთარი შვილის ყოფაქცევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ, ადგენს სათანადო დოკუმენტაციას. წელიწადში 4-5-ჯერ ტარდება მშობელთა კრება. სემესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს დამრიგებელი ინდივიდუალურად აწვდის მშობელს თავისი შვილის მონაცემებს, აღწერს ძლიერ და სუსტ მხარეებს, რეკომენდაციას აძლევს აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად. მშობელს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სასკოლო ღონისძიებებში. ყველა მშობელს შეუძლია ვებ გვერდისა და ფეისბუქ გვერდის საშუალებით მიიღოს ინფორმაცია და აგრეთვე ელექტრონული ფოსტით დაუკავშირდეს კოლეჯს. კოლეჯის დირექცია ცდილობს გაითვალისწინოს მშობელთა მოსაზრებები. სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფები მშობლებისთვის, რაც კიდევ უფრო აადვილებს მათთან კომუნიკაციას. შემუშავებულია ასევე მშობლის ინფორმირებულობის წესი.
დადასტურება	მშობლებთან ჩატარებული კრებების ოქმები, მშობელთა გამოკითხვის მასალები, სასკოლო შინაგანაწესი, კლასის დამრიგებლების სამუშაო გეგმები. კოლეჯის ვებ და ფეისბუქ გვერდი. შემუშავებული წესი.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
აღწერა	კოლეჯის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, კლასის დამრიგებლები, კათედრის ხელმძღვანელები სასწავლო წლის ბოლოს კოლეჯში შექმნილი სხვადასხვა ფორმის გამოყენებით ახორციელებენ სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებას, განვითარების სისტემის შემუშავებასა და კონკრეტული ქმედებების დაგეგმვას. მიმდინარეობს რეიტინგების დადგენა, რომლის ანალიზის საფუძველზეც ხდება ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა. კოლეჯში მუდმივად ხდება ურთიერთდასწრება, მასწავლებლის მიერ თვითშეფასების კითხვარის შევსება, მათი განხილვა და გაანალიზება კათედრის სხდომებზე. სასწავლო გეგმის გაუმჯობესების სტრატეგიები შემუშავებულია მონიტორინგის ჯგუფისა და კათედრების მიერ, რაც შემდგომში, განზოგადებული სახით, განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დირექტორთან ერთად. კოლეჯში წლის ბოლოს კეთდება „SWOT“ ანალიზი.
დადასტურება	სასკოლო სასწავლო გეგმა, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, კათედრების სხდომების ოქმები, საგნის მასწავლებლების და კლასის დამრიგებლების ანგარიშები, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელების ანგარიშები

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები გთხოვთ, წარმოადგინოთ დაწესებულების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, „საგანმანათლებლო პროგრამების“ სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად	
ძლიერი მხარეები	✓ სკოლაში გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღების პრაქტიკა; ✓ სკოლის თანამშრომელთა მოტივირებული ენერგიული გუნდი;

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

	✓ თანამშრომელთა შორის კოლეგიალური, მეგობრული დამოკიდებულება; ✓ სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობა; ✓ საგნობრივი კათედრების კოორდინირებული მუშაობა; ✓ მოსწავლეთა მიერ საერთაშორისო სერტიფიკატზე გამოცდების ჩაბარება ფრანგულ ენაში DELF A1, A2, B1, B2
გასაუმჯობესებელი მხარეები	✓ თითოეული საგნის მიხედვით საგნობრივი კაბინეტების არარსებობა; ✓ ლინგაფონის (აუდიო) ოთახის არარსებობა; ✓ მშობელთა ინტერესის ნაკლებობა სასწავლო პროცესის განვითარებაში;

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ფაქტობრივი მისამართი	ზუგდიდი, ლომოურის 32
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	43.31.74.029
კვ.მ.	502,94
აღწერა	კოლეჯს გააჩნია საკუთარი მიწის ფართი 1456კვ. მეტრი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა 502,94 კვ. მეტრი
დადასტურება	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
აღწერა	კოლეჯის შენობა ორსართულიანია, ამჟამად სწავლობს 159 მოსწავლე. არის 14 საკლასო ოთახი, რომელიც აღჭურვილია 180 ერთადგილიანი და 4 ოფისის მაგიდით. 190 სკამით, 14 დაფით, თითოეულ ოთახში არის მასწავლებლის მაგიდა და ასევე სათანადო საგანმანათლებლო რესურსი.
დადასტურება	ვიზუალური დათვალიერებით, ნასყიდობისა და ნაჩუქრობის დოკუმენტაციით, საკადასტრო ნახაზით.

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
აღწერა	სპორტის სახეობად კოლეჯს არჩეული აქვს ფეხბურთი და მძლეოსნობ. კოლეჯის

	პირველ სართულზე განთავსებულია დიდი ფოიე, სადაც უამინდობის დროს ტარდება სპორტის გაკვეთილები. კოლეჯის ეზოში განთავსებულია პატარა სპორტული მოედანი და ასევე ფარი ქუჩის კალათბურთისთვის, ხოლო კოლეჯის წინ 20 მეტრში მდებარეობს მუნიციპალური მინი სტადიონი, რომელიც მოეწყო კოლეჯთან არსებული სამოქალაქო განათლების კლუბის ინიციატივით და რომელსაც კოლეჯი ასევე იყენებს სპორტული გაკვეთილების ჩასატარებლად.
დადასტურება	სპორტული ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია, ნაჩუქრობის აქტები, ინვენტარიზაციის წიგნი, საკადასტრო ნახაზი.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
აღწერა	კოლეჯში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სადაც განთავსებულია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიის აღჭურვილობა. კაბინეტში მოწყობილია სველი წერტილი. კოლეჯის ერთწლიან და ექვსწლიან გეგმაში გათვალისწინებულია ლაბორატორიის შევსება/განახლება.
დადასტურება	ნაჩუქრობის ხელშეკრულება, ლაბორატორიის აღჭურვილობის ჩამონათვალი საინვენტარიზაციო წიგნში.

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
აღწერა	კოლეჯი უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით, ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევაში კოლეჯს აქვს 1 გენერატორი 2 კვტ სიმძლავრით. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა ბუნებრივ აირზე. კოლეჯს როგორც შენობაში, ასევე გარეთ აქვს სველი წერტილები. თითოეულ კლასში არის ფანჯარა, რაც უზრუნველყოფს კლასების ბუნებრივ განათებას.
დადასტურება	ელექტროენერგიის გადახდის ქვითრები, ჩუქების ხელშეკრულება, შენობის ნახაზი, ვიზუალური დათვალიერება.

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
აღწერა	კოლეჯს გამოყოფილი აქვს ფართი, რომელშიც განთავსებულია ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი. წიგნადი ფონდი შეადგენს 10800 წიგნად ერთეულს ქართულ, ინგლისურ და ფრანგულ ენაზე. ბიბლიოთეკაში განთავსებულია პერიოდიკა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციით გამოცემული დამხმარე სახელმძღვანელოები. არის ყველა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, ყველა წიგნი დამოწმებულია ბეჭდით. ბიბლიოთეკას შემუშავებული აქვს დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

	ბიბლიოთეკა მუშაობს 10-დან 16 საათამდე. არსებობს ანბანური კატალოგი.
დადასტურება	საინვენტარიზაციო წიგნით, ვიზუალური დათვალიერებით, ნასყიდობითა და ნაჩუქრობის დოკუმენტაციით.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
აღწერა	კოლეჯს ამ ეტაპზე არ ჰყავს შშმ მოსწავლე. თუმცა კოლეჯში შექმნილია შესაბამისი პირობები. პირველ სართულზე, კოლეჯის შესასვლელი მოწყობილია იმგვარად, რომ არ საჭიროებს პანდუსს, ხოლო კომპიუტერული ლაბორატორიის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი. მოწყობილია აგრეთვე ადაპტირებული საპირფარეშო.
დადასტურება	ვიზუალური დათვალიერებით, შენობის ნახაზით.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
აღწერა	კოლეჯს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვისათვის აქვს 6 პერსონალური კომპიუტერი, 4 პორტატული კომპიუტერი, 2 პრინტერი, 1 ვიდეომაგნიტოფონი, 2 აუდიომაგნიტოფონი, 3 პიანინო, 1 ტელევიზორი, 1 პროექტორი. ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტ ქსელში. კოლეჯს აქვს ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება (0415 22 02 22), ელექტრონული ფოსტა ecolepm@yahoo.fr, ecolepm@gmail.com, საკუთარი ვებ გვერდი ecolepm.edu.ge, https://bit.ly/30y8Mul რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას, ასევე საკუთარი ფეისბუქ გვერდი. მასზე განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის შესახებ, სასკოლო სასწავლო გეგმა, კოლეჯის თვითშეფასება, კოლეჯის შინაგანაწესი, ფოტოგალერეა, ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, კოლეჯში განხორციელებული პროექტები.
დადასტურება	საინვენტარო აღწერილობის წიგნი, შესყიდვის დოკუმენტაცია, ნაჩუქრობის აქტები, ხელშეკრულება „სილქნეტთან“, ხელშეკრულება ინტერნეტ პროვაიდერთან.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

აღწერა	კოლეჯს შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები და მის დაცვაზე, სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი. კოლეჯის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, რომლის დამუხტვაც მიმდინარეობს პერიოდულად. ინვენტარის გამოყენების წესი ცნობილია კოლეჯის პერსონალისთვის. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სრული უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების და ამ პროექტის ფინანსური გეგმის შესახებ წერილობით ინფორმირებულია ადგილობრივი თვითმმართველობა და შესაბამისი სამსახურები, კოლეჯის სახურავი დამუშავებულია სპეციალური ხსნარით.
დადასტურება	ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვიზუალური დათვალიერება, ანგარიშფაქურები.
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
აღწერა	კოლეჯის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები
დადასტურება	ევაკუაციის გეგმა
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
აღწერა	კოლეჯს აქვს პირველადი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო აუცილებელი მედიკამენტები თანდართული სიითა და მითითებული ვარგისიანობის ვადით. საშტატო განრიგით მედდის შტატი არ არის. მედდის მოვალეობას დირექტორის ბრძანებით ასრულებს შესაბამისი კვალიფიკაციის (პირველად დახმარების მედდის სერტიფიკატის) მქონე პიროვნება.
დადასტურება	სერტიფიკატი, ვიზუალური დათვალიერება
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
აღწერა	კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები . ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო და აგრეთვე კოლეჯის უსაფრთხოებას 17 საათიდან 9 საათამდე უზრუნველყოფს დაცვის თანამშრომელი. დღის განმავლობაში დაწესებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომლებიც მონიტორინგს უწევენ დისციპლინის შესრულებას.
დადასტურება	წესრიგის დაცვის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტაცია. მრჩეველთა საბჭოს ოქმები/. ხელშეკრულებები.
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

აღწერა	კოლეჯის ტერიტორია კონტროლდება სათვალთვალო სისტემით (7 ვიდეო თვალი), რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.
დადასტურება	შესყიდვის დოკუმენტაციით, შრომითი ხელშეკრულებებით, ვიზუალური დათვალიერებით.

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
აღწერა	კოლეჯს შემუშავებული აქვს შინაგანაწესი , რომელიც გამომდინარეობს საქართველოს ორგანული კანონიდან „შრომის კოდექსი“ და „ზოგადი განათლების შესახებ “ საქართველოს კანონიდან. შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს კოლეჯის საქმიანობას, სამუშაო დროის ხანგრძლივობას, თანამშრომელთა მიღების წესს, ანაზღაურების გაცემის ფორმებს, დისციპლინას, მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის უფლებებსა და მოვალეობებს, შეფასების სისტემას, კოლეჯის სტრუქტურას და ა.შ. შექმნილია საგნობრივი კათედრები, ფუნქციონირებს პედაგოგიური საბჭო და ბიბლიოთეკა, რომელთა მუშაობა რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით.
დადასტურება	კოლეჯის შინაგანაწესი, საგნობრივი კათედრების დებულება, ბიბლიოთეკის დებულება.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
აღწერა	კოლეჯს შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (6 წლიანი) და 1 წლიანი სამოქმედო გეგმები, გეგმები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან, რომელიც სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებთან ერთად ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს, მათ შორის სპორტული დარბაზის აშენება-კეთილმოწყობას.
დადასტურება	1 წლიანი და 6 წლიანი გეგმებით.

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
აღწერა	კოლეჯს აქვს ელექტრონული ხელმოწერა და შტამპი. მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა. კოლეჯი აწარმოებს: გასული და შემოსული კორესპონდენციების, ბრძანებების აღრიცხვის, ხელშეკრულებების აღრიცხვის, მოსწავლეთა ანბანური და მოძრაობის აღრიცხვის, ცნობების გაცემის წიგნებს. წიგნები აკინძულია, ზონარგაყრილია და დამოწმებულია დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით. კოლეჯში ინახება დოკუმენტის დედანი ან შესაბამისად დამოწმებული დოკუმენტის ასლი. შემუშავებულია საქმისწარმოების წესი.
დადასტურება	შესაბამისი დოკუმენტაცია, მათი რეგისტრაციის ჟურნალები.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები გთხოვთ, წარმოადგინოთ დაწესებულების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, „მატერიალური რესურსის“ სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად	
ძლიერი მხარეები	✓ სკოლის საკუთრებაში არსებული შენობა; ✓ უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, სკოლის ვიდეო-კამერებით უზრუნველყოფა; ✓ ტრანსპორტის სერვისის შეთავაზება მოსწავლეებისათვის; ✓ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებებში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა;
გასაუმჯობესებელი მხარეები	✓ თანამედროვე სტარდატების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის შექმნა (კვამლზე, სიმხურვალეზე და ა.შ სიგნალიზაციის არარსებობა); ✓ მოსწავლეთა გადასაყვანად საკუთარი სატრანსპორტო საშუალების არქონა;

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
აღწერა	კოლეჯში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა შეადგენს 159. კოლეჯში მუშაობს: 20 უფროსი, 1 წამყვანი და 4 უსტატუსო მასწავლებელი. დირექცია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, დირექტორის მოადგილე ლოჯისტიკის დარგში, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი. ფსიქოლოგი და მასწავლებლის ასისტენტი. ტექნიკური პერსონალი: დარაჯი, 3 მძღოლი, მზარეული და დამლაგებელი. კოლეჯის 14 მასწავლებელი ამავდროულად არის კლასის დამრიგებელი,

	რომლებიც ღებულობენ ფიქსირებულ თანამდებობრივ სარგოს. სულ კოლეჯში არის 36 თანამშრომელი.
დადასტურება	საათობრივი ბადე; საშტატო განრიგი; ხელშეკრულებები

დაწესებულებაში მასწავლებელთა რაოდენობა	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	25
მაძიებელი	-
პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის მქონე	4 უსტატუსო
უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე	20
წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე	1
მენტორის სტატუსის მქონე	-

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
აღწერა	კოლეჯში, ყველა საგნის მასწავლებელს უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაცია დიპლომით. მათ შორის 21-ს სერტიფიკატით. კოლეჯის პედაგოგები შერჩეულნი არიან მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის შინაგანაწესის შესაბამისად. მასწავლებელთა შერჩევა ხდება ღია კონკურსის გზით, საჯაროდ ვებ გვერდზე www.teachersjobs.ge - ზე გამოცხადებული ვაკანსიით. გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია, რომელიც კონკურსის პირველ ეტაპზე ახორციელებს საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განცხადების გადარჩევას, ხოლო მეორე ეტაპზე კანდიდატების შეფასებას განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, გასაუბრების საფუძველზე. კოლეჯში შემუშავებულია კონკურსის გამოცხადების წესი.
დადასტურება	პირადი საქმეები; შიდა და ღია კონკურსის გამოცხადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანებები. საკონკურსო კომისიის ოქმები. შემუშავებული წესი.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
აღწერა	კოლეჯის შინაგანაწესის თანახმად შემუშავებულია თანამშრომელთა მიღების, ანაზღაურების გაცემის, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტისა და დავების წესები. შემუშავებულია ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა. შესაბამისი პროფესიულ-პედაგოგიური კვალიფიკაციის მქონე პირის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით. ამა

	თუ იმ თანამდებობის დასაკავებლად მასწავლებელი წარმოადგენს CV-სა და სამოტივაციო წერილს ვებ გვერდზე www.teachersjobs.ge, საკონკურსო კომისიაში შედის: დირექტორი, დირექტორის მოადგილე და საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელი. კონკურსანტთან ტარდება გასაუბრება სწავლებასა და აღზრდაში. მიღწეული წარმატებებისათვის გამოიყენება წახალისების სხვადასხვა ფორმა: მადლობის გამოცხადება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, პრემია, თანამდებობრივად დაწინაურება/წახალისება. შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნას წახალისების რამდენიმე ფორმა. წახალისება ფორმდება ბრძანებით და ეცნობა მთელ კოლექტივს. მასწავლებლის ეთიკის კოდექსისა და კოლეჯის შინაგანაწესის მოთხოვნათა დარღვევისათვის გათვალისწინებულია დისციპლინური სასჯელები: შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური და სამსახურიდან დათხოვნა. თანამშრომლის დანიშვნა-გათავისუფლების შემთხვევაში კოლეჯი მოქმედებს საქართველოს შრომის კოდექსისა და „საქართველოს კანონის ზოგადი განათლების შესახებ“ შესაბამისად.
დადასტურება	კოლეჯის შინაგანაწესით, მასწავლებელთა პირადი საქმეებით. შრომითი ხელშეკრულებები;

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
აღწერა	დირექტორს კოლეჯის ყველა პედაგოგთან, ადმინისტრაციულ და ტექპერსონალთან, დაცვის თანამშრომლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები კანონმდებლობით გათვალისწინებული წესებით, რომლებიც გატარებულია შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალში. ხელშეკრულებებში შეტანილია დაქირავებულის საქმიანობის მოკლე აღწერა, უფლება-მოვალეობები, ასევე დამქირავებლის უფლება-მოვალეობები, შრომის ანაზღაურების პირობები, სამუშაო ადგილი და დრო, ხელშეკრულებების მოქმედების ვადა, შეწყვეტის საფუძველი და სხვა პირობები.
დადასტურება	გაფორმებული ხელშეკრულებებით, შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
აღწერა	კოლეჯი ჩართულია „ მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების პროფესიულ განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტით შექმნილია ხარისხის განვითარებისა

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ გ.ა.

	და მხარდაჭერის ჯგუფი, შემუშავებულია შესაბამისი დებულება. ჯგუფის წევრები აქტიურად მონაწილეობენ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში. ეხმარებოდნენ მათ საკუთარი პროფესიული საჭიროებების დადგენაში და შსაბამისი აქტივობების განხორციელებაში. საგნის მასწავლებლებს და ადმინისტრაციის წევრებს გავლილი აქვთ საგნობრივი და პროფესიული ტრენინგები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით კარგად მუშაობენ საგნობრივი კათედრები. ჯგუფებში სამუშაო შეხვედრები, გამოცდილებათა გაზიარება, პროფესიული ლიტერატურის განხილვა, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, ერთობლივი საგანმანათლებლო და სოციალური პროექტები - ამ აქტივობებს საგნობრივი კათედრები ახორციელებენ წლის განმავლობაში.
დადასტურება	კოლეჯის დირექტორის ბრძანება, ჯგუფის წევრების დანიშვნისა და დებულების დამტკიცების შესახებ; პედაგოგიური საბჭოს ოქმები, კათედრების ოქმები;

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
აღწერა	კოლეჯში პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დირექციის ყოველ წევრსა და თითოეულ თანამშრომელს შორის. დირექცია ყველა პირობას უქმნის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენისათვის. შემუშავებულია ღონისძიებები წარმატებულ მოსწავლეთა და მასწავლებელთა წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის პრევენციისთვის. ხშირია სასკოლო ექსკურსიები. ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები, კოლეჯი ჩართულია საფრანგეთის განათლებისა და ახალგაზრდობის ეროვნული სამინისტროს, ასევე ფრანკოფონიის სამინისტროს ფრანგული ენის შესწავლის პროგრამაში, რომელიც გასცემს ენის ცოდნის შესაბამისი დონის სერტიფიკატს. დღემდე. A-1, A-2, B-1, B-2 დონე ჩაბარებული აქვს 44 მოსწავლეს თუმცა ამ სასწავლო წელს Covid-19 ინფექციის გამო გადაიდო დაგეგმილი გამოცდები. 2021 წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადის მე-3 ტურში მონაწილეობდა 4 მოსწავლე ფრანგულ ენაში. ერთი მოსწავლე იყო საუკეთესო ათეულში. წარმატებებისათვის კოლეჯი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაჯილდოვებულია: 2010 წელს 9000 ლარით, 2011 წელს 7000 ლარით, 2012 წელს 5000 ლარით, 2013 წელს 5000 ლარით. 2014 წელს სასკოლო დაწესებულებების რეიტინგული სიით მეორე ადგილზეა საქართველოს მასშტაბით. 2017-2018 წლის რეიტინგული სიით არის პირველ ადგილზე . 2018-2019 წელს სიით არის პირველ ადგილზე. 2019-2020 სასწავლო წელს,

	ცნობილი მიზეზების გამო, ვერ ჩატარდა მე-3 ტური. 2020/2021 წლის რეიტინგული სიით არის პირველ ადგილზე. კოლეჯში არსებობს ეკო კლუბი „ECO VIVRE " და სამოქალაქო განათლების კლუბი „SALUT". კოლეჯი მონაწილეობდა ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2020-ში და იყო ნახევარფინალისტი. ეკო კლუბი აქტიურად მუშაობდა და მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა გარემოს დაცვით ღონისძიებებში. კოლეჯის ტერიტორიაზე გაკეთდა პატარა სათბური სადაც მოსწავლეებმა მოიყვანეს ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეული. (გაზაფხულისთვის დაგეგმილი გვქონდა ჩითილების გამოყვანა. დავამზადეთ საკომპოსტო ყუთი, კოლეჯის ეკო კლუბის ინიციატივით შეიკერა ნაჭრის ჩანთები. აღვნიშნეთ ბიომრავაფეროვნების დღე. ეკო კლუბის მიერ განხორციელებული ყველა აქტივობა იტვირთება FORESTRY.GE ზე. სამოქალაქო განათლების კლუბის ინიციატივით მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს არქეოპოლისის „ნოქალაქევის" არქეოლოგიურ გათხრებში. პანდემიის პერიოდში სამოქალაქო კლუბის ინიციატივით შეიქმნა ვიდეო რგოლი „დარჩი სახლში" სადაც მონაწილეობდნენ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები, და მასწავლებლები. ასევე პანდემიის პერიოდში ჩატარდა 2 ონლაინ კონფერენცია: "დადიანები და გარესამყარო"- , რომელიც ჩატარდა 2020 წლის 10 ივნისს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით (ქართული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა, ინგლისური ენა, რუსული ენა, ისტორია) მოსწავლეებმა წარადგინეს 17 მოხსენება, ასევე "ეს საინტერესოა", რომელიც ჩატარდა 2020 წლის 11 ივნისს, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მოსწავლეებმა წარადგინეს 22 მოხსენება. კონფერენციას ესწრებოდნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტები, ტრენერ კონსულტანტები და საჯარო სკოლის დირექტორები. სკოლის მასწავლებელს მედეა ჭაჭუას 2019 წელს საფრანგეთის საელჩომ გადასცა საფრანგეთის სახელმწიფო ჯილდო „აკადემიური პალმა", ფრანგული ენის სწავლებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.
დადასტურება	კათედრის სხდომის ოქმები, შესაბამისი სერტიფიკატები, naec.ge - ზე გამოქვეყნებული რეიტინგული სიები, მოხსენებების ელექტრონული ვერსიები.

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები გთხოვთ, წარმოადგინოთ დაწესებულების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, „ადამიანური რესურსების" სტანდარტის კომპონენტების მოთხოვნების შესაბამისად	
ძლიერი მხარეები	✓ სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებებში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა; ✓ სასწავლო და სოციალური პროექტები; ✓ მოსწავლეთა საზაფხულო და ზამთრის სასწავლო შემეცნებით ბანაკებში

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

	მოსწავლეების მონაწილეობა;
გასაუმჯობესებელი მხარეები	✓ გაზარზე პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების ნაკლებობა; ✓ ახალგაზრდა თაობის მიერ საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის უგულებელყოფა;

02/05/2022 წელი

ზუგდიდი

(შეკვეთის ადგილი)

თარიღი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.